საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გოგოლი გიული ივლიანეს ძე

გოგოლი გიული ივლიანეს ძე (დ. 23. II. 1945, სენაკი), ზოოტექნიკოსი. სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი (1992), პროფესორი (2000). 1972 დაამთავრა საქართვ. ზოოტექ.-სავეტერინარო სასწ.-კვლევითი ინ-ტი. 1976–91 იყო საქართვ. მეცნ. აკად. ზოოლოგიის ინ-ტში მეძროხეობის განყ-ბის გამგე, 1991– 2006 – საქართვ. მეცნ. აკადემიის მეცხოველეობის ბიოლ. საფუძვლების სამეცნ.-კვლევითი სექტორის ხელმძღვანელის მოადგილე სამეცნ. დარგში. 1994–2006 ეწეოდა სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას საქართვ. ზოოტექ.-სავეტერინარო სასწ.-კვლევით ინ-ტში. 1995–2005 ხელმძღვანელობდა საქართვ. მეცნ. აკადემიის გრანტების პროექტს. 2006-იდან საქართვ. სახელმწ. აგრ. უნ-ტის ასოცირებული პროფესორია, 2007-იდან – მ. რჩეულიშვილის სახ. მეცხოველეობის ბიოლ. საფუძვლების ინ-ტის დირექტორი. გ. მუშაობს ძროხის ადაპტაცია-აკლიმატიზაციის, ჯიშთაშორისი და სახეობათაშორისი ჰიბრიდიზაციის პრობლემებზე, ასევე სწავლობს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და გადამუშავების ტექნოლ. საკითხებს. ავტორია მრავალი სამეცნ. ნაშრომის (მ. შ. 12 მონოგრაფია და 3 სახელმძღვანელო). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: ხორცისა და ხორცპროდუქტების ტექნოლოგია, თბ., 2004; ჰიბრიდიზაცია სარძეო მეძროხეობაში, თბ., 2009.